პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 ივნისი ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 141 (14441)

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ ყველა კომუნისტს, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის ყველა მებრძოლს, პროგრესისა და მშვიდობის ყველა მომხრეს ღირსეულად აღნიშნონ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

მაღლა პენიოთ ლენინიზმის დროშა მსოფლიოს რევოლუციური განახლებისათვის ბრძოლაში!

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა

ძირითადი დოკუმენტი, რომელიც კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირმა 1969 წლის 17 ივნისს მიიღო

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც მოსკოვში შეიკრიბა, მსოფლიო განვითარების პასუხსაგებ მომენტში გაიმართა. მსოფლიოში ვითარდება მძაფავრი რევოლუციური პროცესები. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანდება თანამედროვეობის სამი უდიდესი ძალა: სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ახლანდელ ეტაპს ახასიათებს რევოლუციური და პროგრესული ძალების ახალი წინსვლის შესაძლებლობათა ზრდა. ამავე დროს იზრდება საფრთხე, რომელსაც იმპერიალიზმი, მისი აგრესიული პოლიტიკა ქმნიან. იმპერიალიზმი, რომლის საერთო კრიზისი ღრმავდება, განაგრძობს ხალხის ჩაგვრას და კვლავაც საფრთხეს უქმნის მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმეს.

შექმნილი ვითარება მოითხოვს კომუნისტების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობას, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა ახალი შესაძლებლობა და გაგალონ უფრო ფართო შეტევა იმპერიალიზმზე, რეაქციისა და ომის ძალებზე.

თათბირმა განიხილა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური ამოცანები და კომუნისტების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობის პრობლემები. დისკუსიის შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა დემოკრატიის, თანასწორუფლებიანობისა და ეროვნული სულისკვეთებით, თათბირის მონაწილეებმა გამოიტანეს საერთო დასკვნები მსოფლიოში შექმნილი ვითარებისა და აქედან გამომდინარე ამოცანების შესახებ.

I.

მიმდინარე საუკუნის უკანასკნელი მესამედი კაცობრიობამ დაიწყო პროგრესისა და რეაქციის, სოციალიზმისა და იმპერიალიზმის ძალების ისტორიული ბრძოლის გამწვავების ვითარებაში. ამ ბრძოლის ასპარეზია მსოფლიო, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითადი დარგი — ეკონომიკა, პოლიტიკა, იდეოლოგია, კულტურა.

მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა, მისი ცალკეული რაზმების სიძლიერეებისა და წარუმატებლობის მიუხედავად, შეტევას განაგრძობს. იმპერიალიზმმა ვერ შეძლო კონტრიერიზებით თავის სასარგებლოდ შეეცვალა ძალთა საერთო თანაფარდობა. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მზარდი ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების, აგრეთვე მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის მეოხებით, საერთაშორისო პროლეტარიატის გამოსვლების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისათვის ყველა მებრძოლთა გამოსვლების, მშვიდობის დაცვის მოძრაობის ფართო გაქანების მეოხებით შესაძლებელი გახდა არ დაგვეშვა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება. სოციალიზმმა, რომელმაც გაიმარჯვა დედამიწის ერთ მესამედზე, ახალი წარმატებები მოიპოვა ადამიანთა გონებისა და გულისათვის მსოფლიო ბრძოლაში. უკანასკნელი ათწლეულის მოვლენებმა დადასტურეს, რომ სწორია თანამედროვე ეპოქის, მისი შინაარსისა და ძირითადი ტენდენციების ხასიათის მარქსისტულ-ლენინური შეფასება. ჩვენი ეპოქა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაა.

ამჟამად არის რეალური პირობები, რათა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები გადაიჭრას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის, რათა ახალი დარტყმები მივაყენოთ იმპერიალიზმს. ამავე დროს, მიუხედავად ისა, რომ იმპერიალიზმი როგორც მსოფლიო სისტემა უფრო ძლიერი არ გამხდარა, იგი კვლავ სერიოზული და საშიში მოწინააღმდეგეა. გაძლიერდა მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულობა.

იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას საფუძვლად უდევს მისწრაფება ყოველი ღონისძიებით შეასუსტოს სოციალიზმის პოზიციები, ჩაახშოს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხელი შეუშალოს მშრომელთა ბრძოლას კაპიტალისტურ ქვეყნებში, შეაჩეროს კაპიტალიზმის დაქვეითების შეუქცევადი პროცესი.

ღრმავდება ძირეული წინააღმდეგობა იმპერიალიზმსა და სოციალიზმს შორის, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ვლინდება. ორი მსოფლიო სისტემის ბრძოლის გამწვავების ვითარებაში კაპიტალისტური სახელმწიფოები, მიუხედავად იმ მზარდი წინააღმდეგობებისა, რომლებიც მათ შორის არის, ცდილობენ გაავრთიანონ თავიანთი ღონისძიებანი, რათა შეინარჩუნონ და განამტკიცონ ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წყობილება, დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები. ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს კვლავაც გაეკრა ნამახდენის სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე და მათთან ერთად განსხორციელოს საერთო პოლიტიკა კლასობრივი ბრძოლის ძირითად სფეროებში.

იმპერიალიზმის აგრესიული სტრატეგიის მახვილი, ისევე როგორც წინათ, მიმართულია უწინარეს ყოვლისა სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. იმპერიალიზმი ხელს არ იღებს შეიარაღებულ ბრძოლაზე სოციალიზმის წინააღმდეგ. იგი განუწყვეტლივ ამღაერებს ბალადურ შეიარაღებას, ცდილობს გააადვილოს სამხედრო ბლოკები, რომლებიც შეიქმნა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის მიზნით, ამწვავებს იდეოლოგიურ ბრძოლას მათ წინააღმდეგ, ცდილობს შეაფერხოს მათი ეკონომიური განვითარება.

მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერიალიზმი თელავს დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს, მიმართავს აშკარა ძალადობას, პოლიციური დევნის სასტიკ მეთოდებს, ანტიმუშურ კანონმდებლობას. ამავე დროს იგი იყენებს დემაგოგიას, ბურჟუაზიულ რეფორმიზმს, ოპორტუნისტულ იდეოლოგიასა და პოლიტიკას, განუწყვეტლივ ეძებს ახალ მეთოდებს, რათა შიგნიდან გატეხოს მუშათა მოძრაობა, შეეცადოს კაპიტალიზმის სისტემაში მის „ინტეგრირებას“.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერიალიზმი, ერთი მხრივ, ჯიუტად იცავს კოლონიალიზმის ნაშთებს, ხოლო მეორე მხრივ ცდილობს ნეოკოლონიალიზმის მეთოდებით შეუშალოს ხელი განვითარებადი სახელმწიფოების, იმ ქვეყნების ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს, რომლებმაც ეროვნული სუვერენიტეტი მოიპოვეს. ამისთვის იგი მხარს უჭერს რეაქციულ წრეებს აფერხებს ჩამორჩენილი სოციალური სტრუქტურების ლიკვიდაციას და ცდილობს გააძნელოს განვითარება სოციალიზმის გზით ან პროგრესული, არაკაპიტალისტური გზით, რომელიც სახავს სოციალისტურ პერსპექტივას. იმპერიალისტები ამ სახელმწიფოებს თავს აბვეგენ ეკონომიურ ხელშეკრულებებსა და სამხედრო-პოლიტიკურ პაქტებს, რომლებიც ლახავენ ამ ქვეყნების სუვერენიტეტს, ექსპლოატაციას უწევენ მათ ისეთი გზით, როგორიც არის კაპიტალის გატანა, ვაჭრობის არათანასწორუფლებიანი პირობები, მანიპულაციები ვალუტის ფასებითა და კურსით, სესხები, სხვადასხვა ფორმის ეგრეთწოდებული „დახმარება“ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ძალადური ზეგავლენა.

დიდდება უფსკრული მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და კაპიტალისტური სამყაროს მეტ წილ სხვა ქვეყნებს შორის; მთელ რიგ ამ ქვეყნებში შიმშილი მწვავე პრობლემაა. აქეზებს რა რეაქციულ ნაციონალიზმს, იმპერიალიზმი იწვევს უთანხმოებას განვითარებულ ქვეყნებს შიგნით და შეაქვს მათ შორის განხეთქილება. ანტიკომუნიზმის დახმარებით იგი ცდილობს გათიშოს რევოლუციონერები ამ ქვეყნებში და ჩამოაშოროს ისინი საუკეთესო მეგობრებს — სოციალისტურ სახელმწიფოებს და კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციურ მუშათა მოძრაობას.

იმპერიალიზმი იყენებს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებსა და ბაზებს სხვის ტერიტორიებზე, ეკონომიურ ზეგავლენასა და სავაჭრო ბლოკადას და კვლავ ხელს უწყობს დაძაბულობას მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში. იგი ფინანსურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევს რეაქციულ ორგანიზაციებს, აძლიერებს პოლიტიკურ ზეგავლენას. შეიარაღებული ინტერვენციები, სასტიკი რეპრესიები — განსაკუთრებით ის, სადაც ბრძოლა ყველაზე მწვავე ფორმებს იღებს და სადაც რევოლუციური ძალები იარაღით ხელში იბრძვიან, — კონტრრევოლუციური შეთქმულებები, რეაქციული და ფაშისტური გადატრიალებები, პროვოკაციები და შანტაჟი — ყოველივე ამას იყენებს იმპერიალიზმი.

სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების პირობებში იმპერიალიზმი ცდილობს შეასუსტოს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთიანობა. იგი იყენებს უთანხმოებებს საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში, რათა სცადოს განხეთქილება შეიტანოს მის რიგებში, თავის იდეოლოგიურ მანქანას, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აყენებს ანტიკომუნიზმის სამსახურში, სოციალიზმის წინააღმდეგ, მთელი პროგრესული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში.

გასული წლების მანძილზე იმპერიალიზმმა არაერთხელ გამოიწვია პროვოკაციულად მწვავე საერთაშორისო კრიზისები, რომლებმაც კაცობრიობა თერმოატომური შეტაკების ზღვარზე მიიყვანა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები იმპერიალიზმი იძულებულია გაითვალისწინოს საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ძალთა თანაფარდობა, საბჭოთა კავშირის ატომური პოტენციალი და რაკეტულ-ატომური ომის შესაძლო შედეგები. მას სულ უფრო უძნელდება, სულ უფრო ეშინია აიღოს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების გზა. ამ პირობებში ამერიკის მმართველი წრეები, ხელს არ იღებენ რა ასეთი ომისათვის მზადებაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ლოკალურ ომებს.

მაგრამ სულ უფრო ნათელი ხდება წინააღმდეგობა იმპერიალიზმის „ძალის პოზიციის“ პოლიტიკასა და მის რეალურ შესაძლებლობებს შორის. იმპერიალიზმი უძლურია დაიბრუნოს დაკარგული ისტორიული ინიციატივა, უკუაგდაბროლოს თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ჩარხი. კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ გზას განსაზღვრავენ მსოფლიო სოციალისტური სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი რევოლუციური ძალები.

ვიეტნამის ომი ყველაზე დამაჯერებლად ადასტურებს, რომ წინააღმდეგობა არსებობს იმპერიალიზმის აგრესიულ გეგმებსა და ამ გეგმების განხორციელების უნარს შორის. მარცხს, რომელსაც ვიეტნამში განიცდის ყველაზე მძლავრი, ამერიკის იმპერიალიზმი, ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ვიეტნამში შეიარაღებულ ინტერვენციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებში. აგრესორს განეხრახვა ჰქონდა ჩაეწერა ერთ-ერთი სოციალისტური ფორპოსტი აზიაში, დაეხშო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხებისათვის თავისუფლებისა და პროგრესის გზა, ლახვარი ჩაეცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, გამოეცადა სოციალისტური ქვეყნების, მთელი მსოფლიოს მშრომელთა პროლეტარული სოლიდარობის სიმტკიცე.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის იმპერიალიზმმა გამოიყენა დიდძალი სამხედრო ტექნიკა, იძულებული გახდა დათანხმებულიყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის უპირობო შეწყვეტაზე და მისი წარმომადგენლები მიუსხდნენ ზოლაპარაკებს ბაგიდას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლებთან ერთად.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მიმართვა

3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს წინ კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი თავის ფიქრებს მიაპყრობს ჩვენი რევოლუციური ეპოქის უკვდავ გენიოსს.

ლენინის სახელი გახდა სიმბოლო დიდი ოქტომბრის გამარჯვებისა, უდიდესი რევოლუციური გარდაქმნებისა, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს მსოფლიოს სოციალური სახე და მოამზადეს ადამიანობის შემომბრუნებას სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ.

ლენინი არის გამოჩენილი მოაზროვნე, რომელმაც ყოველმხრივ განავითარა მარქსიზმი და ენგელსის მიერ შექმნილი მეცნიერება: დიალექტიკური მატერიალიზმი, პოლიტიკური ეკონომია, სოციალისტური რევოლუციისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თეორია.

ლენინი არის ახალი ტიპის პირველი პროლეტარული პარტიის — ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი, მსოფლიოში პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის ხელმძღვანელი, ისტორიაში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის დამაარსებელი.

ლენინი იყო იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი, რომელიც იცავდა მშრომელთა ყველა რაზმის მოქმედების ერთიანობას საერთო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში; თანმიმდევრული ინტერნაციონალისტი, ხალხთა შორის თანასწორობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლი, რომელიც მრისხანედ გმობდა რასიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას; ყველა ჩაგრული ერის მეგობარი, რომელმაც დასახა ძლევამოსილი გზა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მათი იმ უფლებისათვის ბრძოლისა, რომ თვითონვე განსაზღვრონ თავიანთი ბედი.

საერთაშორისო მუშათა კლასის აღიარებულ ბელადს, ლენინს პროლეტარიატი მიაჩნდა წამყვან ძალად, რომელსაც შეუძლია შეასრულოს კაპიტალისტის დამბოხისა და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის მსოფლიო-ისტორიული მისია. მან შეიმუშავა მოძღვრება კლასობრივსა მუშათა კლასის კავშირის შესახებ. იცავდა რა მუშათა მოძრაობის ერთიანობას, ლენინი შეურიგებელი იყო ყველა ფორმის ოპორტუნიზმისადმი.

ლენინიზმის გავლენით აღიზარდნენ მუშათა კლასის, ხალხის, სოციალიზმის საქმისადმი უანგაროდ ერთგულ კომუნისტთა თაობანი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი როგორც რევოლუციონერის, ამხანაგის, ადამიანის მაღალი თვისებები ყოველთვის იქნება შთამაგონებელი მაგალითი მთელი მსოფლიოს მილიონობით რევოლუციური მებრძოლისათვის.

ლენინიზმის დროშით რევოლუციური მოძრაობა მეტ წილ ქვეყნებში ახალ დონეზე ავიდა, შეიქმნა და განმტკიცდა კომუნისტური პარტიები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა გადაიქცა თანამედროვეობის ჭეშმარიტად მსოფლიო, ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად.

მსოფლიო სოციალიზმის, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელმა გამოცდილებამ დაამტკიცა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საერთაშორისო მნიშვნელობა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ქვეყნების ჯგუფში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, კაპიტალის ქვეყნებში მუშათა მოძრაობის მონაპოვარი, ყოფილი კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხთა გამოსვლა დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის უმაგალითო აღმავლობა — ყველივე ეს ადასტურებს ლენინიზმის ისტორიულ სიმართლეს, ლენინიზმისა, რომელიც თანამედროვე ეპოქის ძირეულ მოთხოვნებს გამოხატავს.

დღეს ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ლენინის მოძღვრებაზე იმავე სტატუებით ვილაპარაკოთ, როგორთაც თვით მან დაახასიათა მარქსიზმი: ეს მოძღვრება ყოვლისშემძლეა, იმიტომ რომ იგი სწორია. მარქსისტულ-ლენინური თეორია, კონკრეტულ პირობებში მისი შემოქმედებითი გამოყენება საშუალებას იძლევა მეცნიერული პასუხი გავცეთ იმ საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ყველა რაზმის წინაშე, სადაც უნდა მოქმედებდნენ ისინი.

მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, დიადი ინტერნაციონალური მოძღვრებისადმი ერთგულება კომუნისტური მოძრაობის შემდგომ წარმატებათა საწინდარია.

კომუნისტებს თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ ყოველი მტრის წინაალმდეგ ბრძოლაში მტკიცედ იცავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციურ პრინციპებს, განუხრელად ახორციელებდნენ მათ, მუდამ ავითარებდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ამდიდრებდნენ მას კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე გამოცდილების საფუძველზე. კომუნისტები ყოველთვის იქნებიან ლენინიზმის შემოქმედებითი სულისკვეთების ერთგული.

ლენინის მოახლოებული იუბილე მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული თარიღია. კომუნისტური და მუშათა პარტიები ამ თარიღს ხვდებიან თავიანთი რევოლუციური საქმიანობის აქტივიზაციის პირობებში და აღნიშნავენ მას მსგავსი პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებით, თავიანთი რიგების გაფართოებითა და განმტკიცებით. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მოაბდინონ მშრომელთა რევოლუციური ენერგიის მობილიზაცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის ნათელი იდეალებისათვის საბრძოლველად.

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ ყველა კომუნისტს, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის ყველა მებრძოლს, პროგრესისა და მშვიდობის ყველა მომხრეს ღირსეულად აღნიშნონ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავი. შეისწავლეთ ლენინის შრომები. მათში თქვენ იპოვნით რეკომენდაციებს ჩვენი დროის ამოცანების ამოხსნისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლის შთაგონების დაუშრეტელ წყაროს. ამ ნაშრომების გაცნობა დაეხმარება ახალგაზრდა თაობას უფრო ცხადად დაინახოს ჩვენი ეპოქის რევოლუციური პერსპექტივები. უფრო ფართო პროპაგანდა გაუწიეთ ლენინიზმს მიღწევებს, სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური პარტიების, მთელი რევოლუციური ძალების წარმატებებს!

ყველა ქვეყნის მშრომელებო, მთელი მსოფლიოს ხალხებო!

ლენინური იდეალების გამარჯვებისათვის მოგიწოდებთ აქტიურად ჩაებით მუშათა კლასის დიდ და კეთილშობილურ ბრძოლაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის!

მაღლა აეწიოთ ლენინიზმის დროშა მსოფლიოს რევოლუციური განახლებისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

1969 წ. 17 ივნისი.

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მონაწილე დელეგაციათა გამგზავრება

18 ივნისს მოსკოვიდან გაემგზავრნენ დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მუშაობაში:

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაცია (გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ულბრიხტის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ფ. ებერტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. მატერნი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ალენი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ჩაუშესკუს მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პ. ნიკოლესკუ-მ

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოძმეობის [illegible]

(გაგრძელება)

ამის მიზეზია ვიეტნამელი ხალხის უმაგალითო გმირობა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შორსმეფრეტელური პოლიტიკა, მრავალმხრივი დახმარება, რასაც ვიეტნამელ ხალხს უწევდნენ სოციალისტური ქვეყნები, პირველ რიგში საბჭოთა კავშირი, საბრძოლო და სულ უფრო მზარდი ინტერნაციონალური სოლიდარობა მთელ მსოფლიოში, ხათ შორის თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვიეტნამში დანაშაულებრივმა ინტერვენციამ გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი მორალური და პოლიტიკური იზოლაცია, იმპერიალიზმის წინააღმდეგ დარაზმა ხალხთა კიდევ უფრო ფართო მასები, ახალი საზოგადოებრივი ფენები და პოლიტიკური ძალები, დააჩქარა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში ბევრი ქვეყნის მოიერნხით ახალგაზრდის ჩაბმა, გაამწვავა ძველი და გამოიწვია ახალი წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. გმირი ვიეტნამელი ხალხის წარმატებანი დამაჯერებლად ცხადყოფენ, რომ ჩვენს დღეებში იმ ხალხებს, რომლებიც ყოველგვარი საშუალებებით გაბედულად იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, თავისუფლებას და საგრეხლრნენ ფართო საერთაშორისო მხარდაჭერით, სულ უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ დაამარცხონ იმპერიალისტური აგრესია.

ახლო აღმოსავლეთში დიდი საერთაშორისო კრიზისი გამოიწვია ისრაელ დამპყრობთა აგრესიამ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანიის წინააღმდეგ. ამ აგრესიის მეოხებით იმპერიალიზმი, და უწინარეს ყოვლისა ამერიკელი იმპერიალისტები, ცდილობდნენ ხელი ჩაიდონ ნავთობიანი რეგიონების არაბულ ქვეყნებში, ჩაეშოთ არაბთა განთავისუფლებელი მოძრაობა, შეენარჩუნებინათ ან აღედგინათ თავიანთი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. მათ ეს ვერ შეძლეს. მიუხედავად ამისა, ისრაელის მმართველი ძალები, რომლებსაც მსოფლიო რეაქცია, მათ შორის სოციალისტური წრეები უჭერენ მხარს, უგულებელყოფენ არაბული სახელმწიფოების, მშვიდობისმოყვარე ხალხების მოთხოვნებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ, კვლავ აბორიგელებენ ექსპანსიისა და ანექსიის პოლიტიკას, განუწყვეტლივ აწყობენ ახალ სამხედრო პროვოკაციებს. ამ პოლიტიკის წინააღმდეგ იღაშქრებენ ისრაელის კომუნისტური პარტია და სხვა პროგრესული ძალები. არაბი ხალხები განაგრძობენ მტკიცე ბრძოლას თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ეროვნული პროგრესის დასაცავად, ყველა ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნებისათვის, პალესტინის არაბი ხალხის ეროვნული უფლებების ცნობისათვის. წინააღმდეგობის მოძრაობა ოკუპაციის წინააღმდეგ ფართოვდება, იღებს სხვადასხვა ფორმას, სულ უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს. ამ ხალხების მხარეზე არიან სსრ კავშირი, სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, ეროვნული განთავისუფლების ძალთა სოლიდარობა, კაპიტალისტური ქვეყნების სულ უფრო ფართო საზოგადოებრიობა.

ამერიკის იმპერიალიზმი ხელს არ იღებს რევოლუციური კუბის მოსპობის გეგმებზე. იგი უსუბად არღვევს საერთაშორისო სამართალს და კვლავ ემუქრება კუბის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ცდილობს მის გარშემო შექმნას ეკონომიური ბლოკადა, ეწევა პროვოკაციულ და ძირგამომხრელ საქმიანობას. მაგრამ მამაცი კუბელი ხალხი თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების, ლათინური ამერიკის პროგრესული ძალების, მთელი რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერით, მტკიცედ იცავს თავის სუვერენიტეტსა და თავისუფლებას და ამით — სოციალიზმის ფორპოსტს ამერიკის კონტინენტზე.

ევროპაში მოქმედებს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი — იმპერიალისტური აგრესიისა და ავანტიურების მთავარი იარაღი. მისი ღერძია ვაშინგტონისა და ბონის კავშირი. ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის მმართველი წრეები ანგარიშს არ უწევენ ევროპის ხალხთა ნება-სურვილს და არაფერს არ ერიდებიან იმისათვის, რომ გაანაგრძელონ ან ბლოკის არსებობა, განამტკიცონ მისი ორგანიზაცია, კვლავ იყოლიონ ამერიკის შეერთებული შტატების „სამხედრო ძალა“ ევროპის კონტინენტზე.

უმთავრესად ნატოს დახმარებით აღორძინდა და განმტკიცდა დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი — ომის საშიშროების ძირითადი კერა ევროპის ცენტრში. იმპერიალისტური მმართველი წრეები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც ძალას იკრებენ ნეონაცისტები და მილიტარიზმი, გამოდიან რევანშისტული პროგრამით გადაისინჯოს მეორე მსოფლიო ომის შედეგები და შეიცვალოს ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების საზღვრები. ეს პოლიტიკა, რომელიც უწინარეს ყოველისა მიმართულია გერმანიის ისტორიაში პირველი სოციალისტური მუშურ-გლეხური სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, საფრთხეს უქმნის ევროპის ყველა ხალხის უშიშროებასა და საყოველთაო მშვიდობას.

იმპერიალისტურ გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, რომელსაც დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ბაზები აქვს ესპანეთში, ეხმარებოდა და ეხმარება ფრანკისტული რეჟიმის შენარჩუნებას მებრძოლი ესპანელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში პოლიტიკური და სამხედრო ზეშემქმედების მუდმივი საშუალებაა ამერიკის მე-6 ფლოტი და სამხედრო ბაზების სისტემა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ამ რაიონის ხალხებს, მშვიდობის საქმეს. ვიეთნამის მრავალწლიან ომს ეწევიან ამერიკელ ფაშისტები და ფაშისტური გადაგრეულება საბერნინეში იმპერიალისტების ნახელავია, რომლებიც მხარს უჭერენ პოლკოვნიკთა ხუნტას.

სამხრეთ-აღმოსავლეთი. აზია, შორეული აღმოსავლეთი ერთ-ერთი მთავარი რაიონია, სადაც იმპერიალისტები ახორციელებენ აგრესიისა და სამხედრო ავანტიურების პოლიტიკას. სეატოს, ანზიუსს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ეგრეთწოდებულ უშიშროების ხელშეკრულებას აფსიის წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისა და ინდოეთის ოკეანის ფაქტიური ოკუპაცია ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ. მთელი ეს სისტემა უწინარეს ყოვლისა მიმართულია აზიის სოციალისტური ქვეყნების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, აგრეთვე ამ რაიონის ნეიტრალისტურ და სამხედრო ბლოკებს მიუბრძანილი სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამერიკელ იმპერიალისტებს კვლავ ოკუპირებული აქვთ ტაივანის კუნძული — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი, ხელს უშლიან მისი კანონიერი უფლებების აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ისინი განაგრძობენ შეიარაღებულ პროვოკაციებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, სამხრეთ კორეის ოკუპაციას, სჩადიან თვითნებობას, ახშობენ პროგრესულ ძალებს, რომლებიც ესწრაფვიან თავისუფლებასა და ქვეყნის გაერთიანებას. ისინი ახორციელებენ აგრესიის აქტებს ლაოსის წინააღმდეგ და პროვოკაციებს კამბოჯის წინააღმდეგ, შექმნეს და აფართოებენ-მძლავრ სამხედრო ბაზებს ტაილანდში. ისინი განუწყვეტლივ აბდენენ ზეგაჯელნას ინდოეთზე, რათა უარი თქვას მიუმხრობლობისა და დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარების პოზიციაზე. იმპერიალისტებმა დაუჭირეს მხარი ანტიხალხურ გადატრიალებას ინდონეზიაში, რომლის შედეგად დაიხოცა ასეულთასობით კომუნისტი და სხვა დემოკრატი. ინდონეზიის რეაქციული წრეები განაგრძობენ სისხლისმღვრელ ტერორს, რის შედეგად ისპობა ინდონეზიის რევოლუციის ყველა ნაყოფი და იქმნება საფრთხე, რომ ეს ქვეყანა დაკარგავს დამოუკიდებლობას.

გაძლიერდა იმპერიალიზმის აქტივობა აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში. იმპერიალიზმი ცდილობს შეაჩეროს განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარება, შეინარჩუნოს და განამტკიცოს თავისი პოზიციები კონტინენტზე. ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიის, იაპონიის იმპერიალისტები აქ ფარულ ან ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური შეღწევისა და დამონების ნეოკოლონიალისტურ მეთოდებს. შეიარაღებული ჩარევა კინშასის კონგოში, რეაქციული გადატრიალებანი განაა და ზოგიერთი სხვა ქვეყანაში, იმპერიალისტთა ხრიკები ნიგერიის გასათიშავად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სამხრეთ როდეზიის რეაქციული ანტიხალხური ხროვების, ფაშისტურ-რასისტული რეჟიმების პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა, სახელმწიფოთა შორის კოხფლიქტებისა და ტომთა შორის შეღლილ გაღვივება. მონოპოლიათა ეკონომიური ზეგავლენა და ექსპანსია — არაფერს არ ერიდება იმპერიალიზმი თავისი გეგმების განხორციელებისათვის. იარაღის ძალით და ნატოს დახმარებაზე დაყრდნობით პორტუგალიელი კოლონიზატორები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი სამფლობელოები.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი აძლიერებს ეკონომიურ შეღწევას, აგრეთვე ჩარევას ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ადგილობრივ რეაქციულ ძალებთან კავშირით იგი ახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს სხვა ხალხებს წაბაძონ კუბის მაგალითს. იგი ეწინააღმდეგება ყოველ ნაბიჯს ეკონომიური და ნამდვილი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე.

ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმმა წამოაყენა „პროგრესისათვის კავშირის“ გეგმა, მიმართავს ბატონობის ახალ, შენიღბულ ფორმებს. იგი თავიანი პოლიტიკის სამსახურში აყენებს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას და ამერიკის სახელმწიფოთა სამხედრო კავშირს, ყოველი ღონისძიებით ცდილობს შექმნას ეგრეთწოდებული „ამერიკის სახელმწიფოთა მშვიდობის ძალები“, ცდილობს მოიპოვოს ლათინური ამერიკის ყოველ ქვეყანაში სამხედრო ჩარევის უფლება, როგორც ჩაერია დომინიკოს რესპუბლიკისა და პანამის საქმეებში. ამერიკის იმპერიალისტები მხარს უჭერენ და ამყარებენ, ხშირად სამხედრო გადატრიალებების გზით, რეაქციულ დიქტატურებს, აძლიერებენ გამოიშვილ საქმიანობას პროფკავშირულ მოძრაობაში, აფარფოფებენ თავიანთ გავლენას შეიარაღებულ და პოლიციურ ძალებში, თანაგონებენ სახალხო მოძრაობის ტაბანებს. ამერიკელ იმპერიალისტებს კვლავ ოკუპირებული აქვთ ტაივანის კუნძული — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი, ხელს უშლიან მისი კანონიერი უფლებების აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ისინი ეწევიან ფაშისტური ტერორისტული ორგანიზაციების ტერროროსტ ... ...

იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ვრცელი გეგმა

ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

განსხვავება ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფების მდგომარეობაში, მაგრამ მისი სულ უფრო მეტი ნაწილი ეწინააღმდეგება მონოპოლიებსა და მთავრობათა იმპერიალისტურ პოლიტიკას. ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისი და სოციალიზმის მიმზიდველი ძალა ხელს უწყობენ იმას, რომ ინტელიგენცია დაადგეს ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გზას. გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკთა კავშირი სულ უფრო მნიშვნელოვანი ძალა ხდება მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, წარმოებისადმი, კულტურისა და ინფორმაციის დაწესებულებებისადმი დემოკრატიული კონტროლისათვის, ხალხის ინტერესთა სასარგებლოდ განათლების განვითარებისათვის ბრძოლაში.

გლეხობის, ქალაქის საშუალო ფენებისა და ინტელიგენციის ინტერესთა დაახლოება მუშათა კლასის ინტერესებთან, მათი მსარდი თანამშრომლობა ავიწრობს მონოპოლიათა ძალაუფლების სოციალურ ბაზას, ამწყვეტს მის შინაგან წინააღმდეგობებს და ხელს უწყობს ფართო მასების მობილიზაციას მონოპოლიების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დასავლეთ ევროპის, ამერიკის, იაპონიის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების ხაზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ახალგაზრდობის მსარდი რიცხვი და პოლიტიკური აქტივობა, რომელიც სულ უფრო ძლიერდება.

ახალგაზრდობის გამოსვლები ასახავენ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ღრმა კრიზისს. მშრომელნი უწინარეს ყოვლისა მუშა ახალგაზრდობა, რომელიც უაღრესად დიდ ექსპლოატაციას განიცდის და ვერ ხედავს თავისთვის პერსპექტივებს კაპიტალიზმის დროს, სულ უფრო აქტიურად ებმება კლასობრივ ბრძოლაში, შედის პროფკავშირებში, კომუნისტურ და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებში. სტუდენტობის ფართო მასები იბრძვიან არა მარტო სწავლების ჩამორჩენილი სისტემის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, არა მარტო იმ უფლებისათვის, რომ ჰქონდეთ თავიანთი ორგანიზაციები და ეფექტიანად მონაწილეობდნენ სასწავლო ცენტრებისადმი ხელმძღვანელობაში, არამედ გაბატონებული კლასების პოლიტიკის წინააღმდეგაც. სულ უფრო მეტი ახალგაზრდები, ვეტერანმელი ხალხის ბრძოლით და იმპერიალიზმის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის სხვა მაგალითებით აღფრთოვანებულნი, მონაწილეობენ დიდ სასაღსო გამოსვლებში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

კომუნისტები დიდად აფასებენ ახალგაზრდული მოძრაობის აღმავლობას და აქტიურად მონაწილეობენ მასში. ისინი მის რიგებში ავრცელებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, განუმარტავენ სხვადასხვა ჯურის ფსევდორევოლუციური იდეების საშიშროებას, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ახალგაზრდობაზე, ცდილობენ დაეხმარონ მას მოძებნოს სწორი გზა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში. მხოლოდ მუშათა მოძრაობასთან და მის კომუნისტურ ავანგარდთან მჭიდრო კავშირს შეუძლია დაუსახოს ახალგაზრდობას ნამდვილად რევოლუციური პერსპექტივა.

